2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გენდერული ანალიზი

საერთაშორისო ფონდი ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გენდერული ანალიზი

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა შემდეგი პარტიები და ბლოკები:
1 – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ქართული პოლიტიკა";
2 – საქართველოს რესპუბლიკური პარტია;
3 – საარჩევნო ბლოკი "მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე–მრეწველები (მ.გ.ს. ერთობა, ედპ)";

"ხალხის პარტია"

38 – "შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია"; ***# 106; # 107; #108; # 113; #114; #115; #117; #118; #121; #123; #126; #127; #131; #135; #136; #139; #144; #147; #150; #160; #162; #163; #164; #166. 167 იანი სია – 100 – ის ზემოთ 67 კაციან სიაში 24 ქალია***

4 - "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია"; **#101; #102; #104; #105; #107; #109; #112; #116; #119; #121; #123; #125; #127; #129; #130; #131; #133; #134; #135; #136; #137; #138; #139; #140; #142; #143; #144; #146; #148; #149; #151; # 152; #153; #154; #156; #159.** ***160ანი სია*** – 100-ის ზემოთ 60 კაციან სიაში 35 ქალია.
5 – "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს"; ***155-ანი სია***– 100-ის ზემოთ ***4 ქალია*** - **# 101; #131; #145; #148.**

-
6 – პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს სპორტსმენთა კავშირი"; ***# 104; # 107; #108; #115; #120; #122; #123; #124; #125; #127; #133. 133 იანი სია – 100 – ის ზემოთ 33 კაციან სიაში 11 ქალია***

10 – გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები";
17 – სახალხო მოძრაობა; - 118-ანი სია – 100-ის ზემოთ 9ქალია - **N102; N107; N108; N109; N111; N113; N114; N115; N117;**
23 – "ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი" – 176-ანი სია -100-ის ზემოთ ***22 ქალია*** - **#104; #105; #110; #119; #120; #129; #130; #139; #140; #149; #150; #154; #156; #162; #164; #166; #167; #168; #169; #170; #171; #172.**
35 - მომავალი საქართველო; №103;№105;№107;№108;108-ანი სია -100-ის ზემოთ 8კაციან სიაში ***4 ქალია***
სამართლიანი საქართველოსთვის; - 129- -100 – ის ზემოთ **15 ქალია - N101; N103; N105; N106; N107; N108; N111; N114; N116; N122; N123; N124; N125; N126; N127;**

41 – ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება; - 200-ანი სია -100-ის ზემოთ ***17 ქალია*** - **#110; #118; #124; #138; #149; #151; #152; #154; #159; #165; #166; #167; #169; #176; #178; #186; #194.**

წინასაარჩევნო პერიოდს სკანდალური განცხადებების გარეშე არ ჩაუვლია. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის გამოსვლა იყო, სადაც მან აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აღარ აპირებს.
პარლამენტის თავმჯდომარემ თავისი გადაწყვეტილება 21 აპრილს, საღამოს 6 საათზე გაახმოვანა, სწორედ მაშინ, როდესაც ამოიწურა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიული სიების წარდგენის ბოლო ვადა.

წინასაარჩევნო პერიოდში ცესკომ გამოაქვეყნა ამომრჩეველთა სიები, რომლის თანახმადაც, საქართველოში სადღეისოდ 3 465 736 ამომრჩეველია. სამწუხაროდ, სტატისტიკა ამომრჩეველთა გენდერული სეგრეგაციის შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს.

ქალები 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების პარტიულ სიებში

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ბლოკების მიერ წარმოდგენილ პარტიულ სიებში გენდერული დისბალანსი ისევ აშკარა და თვალშისაცემია. პირველ ხუთეულში ქალები წარადგინეს მხოლოდ შემდეგმა საარჩევნო სუბიექტებმა: ბლოკი "ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია" (1 ქალი), საქართველოს პოლიტიკური პარტია "ჩვენი ქვეყანა" (2 ქალი), "გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები" (1 ქალი).
ასევე არასახარბიელოა პირველი ათეულების გენდერული სურათი, სადაც თორმეტივე საარჩევნო სუბიექტს ერთად 13 ქალი ჰყავს წარმოდგენილი, რაც კანდიდატთა 10.8%-ია.

საარჩევნო სიების პირველ ხუთ ათეულში ქალები შემდეგი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი:

საარჩევნო სუბიექტი	I ათ-ლი	II ათ-ლი	III ათ-ლი	IV ათ-ლი	V ათ-ლი	VI ათ-ლი	VII ათ-ლი	VIII ათ-ლი	IX ათ-ლი	X ათ-ლი	XI ათ და ზევით
მოქალაქეთა პოლიტ. გაერთიანება "ქართული პოლიტიკა"	1 N10	0	1 N28	3 N31 N33 N37	3 N44 N48 N50						
რესპუბლიკური პარტია	1 N6	0 -	5 N22 N25 N26 N28 N30	2 N34 N35	5 N41 N43 N45 N48 N50						
სახალხო მოძრაობა N 17	4 N2 N3 N4 N10	4 N12 N14 N15 N18	4 N22 N23 N25 N26	4 N31 N33 N36 N39	4 N45 N46 N47 N48	4 N52 N56 N57 N58	4 N63 N65 N67 N70	5 N71 N74 N75 N76 N80	5 N82 N86 N88 N89 N90	5 N92 N93 N96 N98 N100	
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	2 N7 N 9	2 N11 N18	1 N22	1 N33	0 -	1 N50 N54	N 68	0	2 N *85* N *86*	4 N *94* N *94* N *97* N *99*	24 *# 106;* *# 107;* *#108;* *# 113;* *#114;* *#115;* *#117;* *#118;* *#121;* *#123;*

											#126; *#127;* *#131;* *#135;* *#136;* *#139;* *#144;* *#147;* *#150;* *#160;* *#162;* *#163;* *#164;* *#166.*
ეროვნულ – დემოკრატიული პარტია №4	*3* **# 3** **# 6** **#10**	*3* **# 17** **# 19** **# 20**	*3* **# 25** **# 27** **# 29**	*2* **# 36** **# 39**	*1* **# 44** **#47**	*5* ***# 53*** ***# 54*** ***# 56*** ***#58*** ***#59***	*5* **# 61** **# 63** **# 65** **# 66** **# 68**	*4* **# 71** **#72** **#74** **# 77**	*6* ***# 81*** ***# 83*** ***# 85*** ***# 86*** ***# 88*** ***# 90***	*3* **# 92** **# 94** **# 97**	*3*
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს №5	*3* **# 4** **# 6** **#10**	*1* **# 16**	*1* **# 25**	*1* **# 36**	*1* **# 42** **#43** **#44** **#45**	*0*	*0*	*1* **# 75**	*1* **# 89**	*0*	*4* **# 101** **#131** **#145** **#148**
საქართველოს სპორტსმენთა კავშირი	**1** **N2**	**4** **N11** **N13** **N15** **N18**	**4** **N30**	**4** **N32** **N33** **N34** **N35**	**0**	**4** **N52** **N53** **N56** **N59**	**1** **N61**	**1** **N77**	**7** **N81** **N83** **N84** **N86** **N87** **N88** **N89**	**1** **N99**	**11** **N 104;** **N 107;** **N 108;** **N 115;** **N 120;** **N 122;** **N 123;** **N 124;** **N 125;** **N 127;** **N 133.**
გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნ. საბჭო, მემარჯვენეები)	**1** **N6**	**2** **N14** **N19**	**3** **N22** **N26** **N28**	**1** **N31**	**3** **N47** **N48** **N49**						
მერაბ კოსტავას საზოგადოება											
ქრისტიანულ დემოკრატიული ალიანსი											
გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები											
მომავალი საქართველო	**1**	**2**	**7**	**6**	**5**	**5** **N51**	**3**	**5** **N72** **N74**	**2**	**5** **N92**	**4** **N103**

	N6	N15 N16	N23 N24 N25 N27 N28 N29 N30	N31 N33 N34 N36 N38 N40	N41 N42 N45 N46 N47	N52 N54 N56 N59	N61 N63 N69	N75 N76 N78	N89 N90	N96 N97 N99 N100	N105 N107 N108
ხალხის პარტია	1 N9	0	3 N21 N24 N30	1 N31							
"ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი" - №23	3 N2 N7 N9	3 N12 N13 N17	5 N22 N23 N24 N25 N29	6 N31 N33 N34 N37 N39 N40	3 N41 N49 N50	4 N53 N55 N57 N60	4 N62 N64 N65 N69	4 N74 N78 N79 N80	4 N81 N82 N86 N87	6 N91 N92 N93 N97 N98 N100	
"ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება" - №41	1 N2	2 N14 N17	2 N26 N30	1 N31	2 N42 N47	2 N51 N59	2 N64 N66	1 N75	2 N88 N89	2 N96 N99	
სამართლიანი საქართველოსთვის	1 N1	3 N13 N17 N18	3 N21 N25 N28	3 N34 N36 N38	5 N44 N46 N47 N48 N49	8 N51 N52 N53 N54 N55 N58 N59 N60	6 N62 N63 N65 N66 N69 N70	7 N71 N72 N73 N75 N77 N78 N79	4 N82 N83 N85 N88	7 N93 N94 N96 N97 N98 N99 N100	15 N101 N103 N105 N106 N107 N108 N111 N114 N116 N122 N123 N124 N125 N126 N127

საერთო რაოდენობა	**695**	**140**	**8**

ქალები მაჟორიტარულ არჩევნებში

მაჟორიტარული სისტემით კენჭისყრის შედეგად 2008 წლის 21 მაისის არჩევნებზე სულ 75 დეპუტატი აირჩიეს. წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატთა საერთო რაოდენობამ 57-ს მიაღწია, რომელთა მხოლოდ 11% იყო ქალი კანდიდატი. 75 საარჩევნო ოლქიდან 33 ოლქში ქალი კანდიდატი არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ წარუდგენია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი ქალი კანდიდატი წარადგინეს რესპუბლიკელებმა და ლეიბორისტებმა. მრეწველებსა და სპორტსმენთა კავშირს კი ქალი კანდიდატები საერთოდ არ წარუდგენიათ.

კიდევ უფრო მძიმე გენდერული სურათი მივიღეთ ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებისას. მაჟორიტარული სისტემით კენჭისყრის შედეგად 75 საპარლამენტო მანდატიდან 71 ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა მიიღეს, ხოლო 2-2 მანდატი გაერთიანებული ოპოზიციისა და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა.
აღმოჩნდა, რომ მაჟორიტარი ქალი კანდიდატებიდან მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა: რუსუდან კერვალიშვილმა (თბილისი, სამგორის რაიონი). უნდა აღინიშნოს, რომ რუსუდან კერვალიშვილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატია.

ოლქის დასახელება	**წარდგენილი კანდიდატების რიცხვი**	**წარდგენილი ქალი კანდიდატები**	**არჩეული კანდიდატის სქესი**
ვაკე	5	1	მამაკაცი
მთაწმინდა	8	1	მამაკაცი
საბურთალი	8	2	მამაკაცი
სამგორი	6	3	ქალი
ისანი	6	0	მამაკაცი
კრწანისი	5	1	მამაკაცი
დიდუბე	6	0	მამაკაცი
ჩუღურეთი	6	0	მამაკაცი
გლდანი	7	0	მამაკაცი
ნაძალადევი	5	1	მამაკაცი
დედოფლისწყარო	4	0	მამაკაცი
საგარეჯო	6	0	მამაკაცი
გურჯაანი	6	1	მამაკაცი
სიღნაღი	8	1	მამაკაცი
ლაგოდეხი	3	0	მამაკაცი
ყვარელი	6	0	მამაკაცი
თელავი	8	1	მამაკაცი
ახმეტა	4	1	მამაკაცი
მცხეთა	8	1	მამაკაცი
დუშეთი	5	3	მამაკაცი
თიანეთი	7	1	მამაკაცი
ყაზბეგი	6	0	მამაკაცი
რუსთავი	6	1	მამაკაცი
გარდაბანი	4	0	მამაკაცი
მარნეული	7	1	მამაკაცი
ბოლნისი	7	1	მამაკაცი

დმანისი	4	0	მამაკაცი
წალკა	5	0	მამაკაცი
თეთრიწყარო	5	1	მამაკაცი
გორი	8	0	მამაკაცი
ქარელი	5	0	მამაკაცი
ხაშური	7	1	მამაკაცი
კასპი	6	1	მამაკაცი
ახალგორი	5	0	მამაკაცი
ბორჯომი	6	2	მამაკაცი
ახალციხე	4	0	მამაკაცი
ადიგენი	4	0	მამაკაცი
ასპინძა	3	0	მამაკაცი
ახალქალაქი	3	0	მამაკაცი
ნინოწმინდა	4	1	მამაკაცი
ონი	8	0	მამაკაცი
ამბროლაური	5	0	მამაკაცი
ცაგერი	4	0	მამაკაცი
ლენტეხი	5	0	მამაკაცი
ქუთაისი	8	1	მამაკაცი
ზესტაფონი	8	1	მამაკაცი
ბაღდათი	6	0	მამაკაცი
ხონი	4	0	მამაკაცი
ტყიბული	6	1	მამაკაცი
ხარაგაული	5	0	მამაკაცი
თერჯოლა	6	0	მამაკაცი
საჩხერე	7	1	მამაკაცი
ჭიათურა	7	0	მამაკაცი
ვანი	5	1	მამაკაცი
სამტრედია	7	2	მამაკაცი
წყალტუბო	8	0	მამაკაცი
ლანჩხუთი	6	0	მამაკაცი
ჩოხატაური	9	1	მამაკაცი
ოზურგეთი	6	0	მამაკაცი
მესტია	7	1	მამაკაცი
ხობი	5	1	მამაკაცი
წალენჯიხა	9	0	მამაკაცი
ზუგდიდი	8	2	მამაკაცი
აბაშა	6	0	მამაკაცი
სენაკი	6	1	მამაკაცი
მარტვილი	4	0	მამაკაცი
ჩხოროწყუ	7	2	მამაკაცი
ფოთი	7	1	მამაკაცი
ბათუმი	9	1	მამაკაცი
ხელვაჩაური	6	0	მამაკაცი
ქედა	9	4	მამაკაცი
ქობულეთი	8	2	მამაკაცი
შუახევი	6	0	მამაკაცი
ხულო	8	1	მამაკაცი
ლიახვი	4	1	მამაკაცი
საერთო რაოდენობა	**450**	**50**	**74 მამაკაცი 1 ქალი**

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

2008 წლის 7 ივნისს ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართა, რომელსაც არც ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები არ დასწრებიან. მათმა დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ საერთოდ უარს ამბობს პარლამენტარის მანდატზე და არ აპირებს ითანამშრომლოს, მათი თქმით, არალეგიტიმურ პრეზიდენტთან და არც არალეგიტიმური პარლამენტის წევრობა სურს.

2008 წლის 13 ივნისს კი გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებმა სადეპუტატო მანდატებზე ოფიციალურად თქვეს უარი. ამ გადაწყვეტილების შედეგად, თორმეტმა დეპუტატმა, რომლებიც ახალი მოწვევის პარლამენტში გართიანებული ოპოზიციის სიით მოხვდა, ოფიციალური განცხადებით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს მათი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. მათ შორის არიან: ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე (ახალი მემარჯვენეების ლიდერი), ზვიად ძიძიგური (კონსერვატორული პარტია), კობა დავითაშვილი (ხალხის პარტიის ლიდერი), ეკა ბესელია (მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის), გუბაზ სანიკიძე (ეროვნული ფორუმი), გიორგი ხაინდრავა (ოპოზიციური კოალიციის დამოუკიდებელი წევრი), ფიქრია ჩიხრაძე (ახალი მემარჯვენეები), დავით საგანელიძე (ახალი მემარჯვენეები), მამუკა კაციტაძე (ახალი მემარჯვენეები) და ირაკლი იაშვილი (ახალი მემარჯვენეები). პარტია თავისუფლების ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ ანალოგიური განცხადებით პარლამენტს 12 ივნისს მიმართა. გასათვალისწინებელია, რომ უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნამდე ოპოზიციის ლიდერებმა მთლიანი სიის ანულირება მოახდინეს, რის შედეგადაც სიის ვერც ერთი წევრი ვერ შეძლებს პარლამენტში ვაკანტური ადგილების დაკავებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციის ორი მაჟორიტარი კანდიდატის დავით გამყრელიძის (ვაკის რაიონში გამარჯვებული კანდიდატი) და დავით საგანელიძის (დიდუბის რაიონსი გამარჯვებული კანდიდატი) მიერ სადეპუტატო მანდატებზე უარის თქმის გამო ამ ორ ოლქში შუალედური არჩევნები დაინიშნება.

2008 წლის 16 ივნისს ლეიბორისტულმა პარტიამაც ოფიციალურად განაცხადა უარი პარლამენტში შესვლაზე. ლეიბორისტებმა 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოში 6 ადგილი მოიპოვეს, თუმცა მათგან ორმა დეპუტატმა – ნუგზარ ერგემლიძემ და რამაზ თედორაძემ – არ გაიზიარეს პარტიის ბოიკოტი და შევიდნენ პარლამენტში.

ცხადია, მოვლენების ამგვარმა განვითარებამ შეცვალა პარლამენტართა საერთო რაოდენობაცა და საკანონმდებლო ორგანოში არსებული გენდერული სურათიც. აღმოჩნდა, რომ 150-კაციან პარლამენტს 16 დეპუტატი გამოაკლდა და სულ 134 დეპუტამა შეინარჩუნა მანდატი. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ოპოზიციის სიით ორი ქალი დეპუტატი მოხვდა საკანონმდებლო ორგანოში, ბოიკოტის გამო კი ორივე მათგანმა უარი თქვა სადეპუტატო მანდატზე. აქედან გამომდინარე 2008 წლის მოწვევის პარლამენტში სულ 7 ქალი დეპუტატია, რაც პარლამენტართა 5,2%-ია. როგორც ვხედავთ არჩევნების შემდგომმა მოვლენებმა კიდევ უფრო დაამძიმა საკანონმდებლო ორგანოში არსებული გენდერული დისბალანსი.

ქალები 2008 წლის მოწვევის პარლამენტში

1. ხათუნა ოჩიაური (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა);
2. ეკა ხერხეულიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა);
3. ხათუნა გოგორიშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა);
4. მარიკა ვერულაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა);
5. ჩიორა თაქთაქიშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა);
6. მაგდა ანიკაშვილი (გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები);
8. რუსუდან კერვალიშვილი (სამგორის რაიონის მაჟორიტარი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა).

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შესახებ

არჩევნებს აკვირდებოდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხმის მიცემის პროცესი პოზიტიურად, ხმების დათვლის ეტაპი კი "ნაკლებად პოზიტიურად" შეაფასა სადამკვირვებლო მისიამ, რომელიც მოიცავს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ევროს ოფისის (OSCE/ODIHR), ევროს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა მისიებს. მათ მიერ მომზადებულ მოხსენებაში ნათქვამია: "მიუხედავად იმისა, რომ საქართველო შეეცადა, არჩევნები სტანდარტების შესაბამისად ჩაეტარებინა, მთელი რიგი პრობლემები დაფიქსირდა, რამაც მისი განხორციელება არათანაბარი და არასრული გახადა". თუმცა ჟოაო სუარესმა, ევროს მოკლევადიან დამკვირვებელთა სპეციალურმა კოორდინატორმა, პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ იანვარში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნეოდა.

სადამკვირვებლო მისიის მიერ საარჩევნო პროცესი უფრო ნეგატიურად შეფასდა რამდენიმე რეგიონში, მათ შორის შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, გურიასა და ქვემო ქართლში. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა განაცხადა, რომ "კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეიძლება არჩევნები კარგად ჩატარებულად მივიჩნიოთ, საქართველოში ვერ შესრულდა, მაგრამ თითოეული არჩევნები იმ გარემოს გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, სადაც ის ტარდება." როგორც ჩანს სადამკვირვებლო მისიის აზრით, სადღეისოდ საქართელოში სრულყოფილი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეუძლებელია.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების პროცესს თვალს ადევნებდნენ ადგილობრივი დამკვირვებლებიც. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სპეციალურად მომზადებულ მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა მთელ რიგ დარღვევებზე, სადაც აღნიშნულია, რომ საარჩევნო პროცესი კენჭისყრის დღეს, დედაქალაქისგან განსხვავებით, გაცილებით უხეში დარღვევებით მიმდინარეობდა რეგიონებში. ქვემო ქართლში, კახეთში, შიდა ქართლსა და გურიაში სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე ზეწოლის, დაშინების, მუქარის, საარჩევნო უბნებიდან მათი გამოძევების უპრეცედენტო ფაქტები დაფიქსირდა. გარდა ამისა, ბევრი უბანი დაგვიანებით გაიხსნა, არ იყო დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია, სათანადოდ არ

მოწმდებოდა მარკირება, ხშირად ამომრჩეველი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე აძლევდა ხმას და ა.შ.
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, კენჭისყრის დღეს არსებულ გარემოზე არსებითი გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებულ დარღვევებს არ მოჰყვა ადეკვატური რეაგირება საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლო ხელისუფლების მხრიდან.

საერთაშორისო ფონდ ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრის დამკვირვებლები არჩევნების შესახებ

საერთაშორისო ფონდი ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი და მისი რეგიონალური ქსელის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობის პროცესს. მათი თქმით, ზოგადად არჩევნები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, თუმცა გარკვეულ ექსცესებსა და მცირე დარღვევებს მაინც ჰქონდა ადგილი. რეგიონალური ქსელის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამომრჩეველთა აქტიობა დაბალი იყო. ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრის რეგიონალური ქსელის წარმომადგენელი ლია რეხვიაშვილი ამბროლაურის რაიონში აკვირდებიდა საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას. მან დასკვნაში მიუთითა, რომ ზოგადად არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა, მაგრამ მცირე დარღვევები დაფიქსირდა. რიგ შემთხვევებში მმართველი პარტიის წარმომადგენლები უთითებდნენ ამომრჩევლებს, ვისთვის დაეჭირათ მხარი, რის გამოც ლია რეხვიაშვილმა დაწერა საჩივარი და თავმჯდომარეს თხოვა, აღმოეფხვრა მსგავსი ქმედებები. ამბროლაურის რაიონის მეხუთე უბანზე აღმოაჩინა, რომ მარკირების შესამოწმებელი ხელსაწყოს ნაცვლად ჩვეულებრივ ფანარს იყენებდნენ. ჩარევის შემდეგ შეცდომა გამოასწორეს, თუმცა მოთხოვნის მიუხედავად, იქამდე ჩაყრილი ბიულეტენები არ ცნეს ბათილად და საარჩევნო პროცესი დაუბრკოლებლად გაგრძელდა. ცხადია, ეს დარღვევაა, რომელზეც სათანადო რეაგირება არ მოხდა. აღსანიშნავია ამბროლაურის მეთვრამეტე უბანზე მომხდარი შემთხვევა, სადაც უცხო პირებმა საარჩევნო ყუთი გაიტაცეს. რაღა თქმა უნდა, დაიწერა საჩივრები უბნის გაუქმების მოთხოვნით, რაც ოლქმა შეასრულა.

საერთაშორისო ფონდ ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრის სხვა დამკვირვებლების მიერ, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, უხეში დარღვევები არ დაფიქსირებულა, თუმცა დამკვირვებელმა მთვარისა ჯანგიძემ, რომელიც ყვარელის რაიონში აკვირდებოდა საარჩევნო პროცესს, აღნიშნა, რომ ამომრჩევლები ხშირად იხსენებდნენ კომუნისტების დროს, როცა ოჯახიდან მხოლოდ ერთ წევრს მიჰქონდა საარჩევნო ბიულეტენები უბანზე და სხვების ნაცვლად აძლევდა ხმას. მათი თქმით, ახლაც არ იტყოდნენ უარს მსგავს სისტემაზე იმიტომ, რომ დაიღალნენ პოლიტიკით. ხალხის ასეთი დამოკიდებულება ნათლად გვიჩვენებს, რომ საზოგადოება საკმაოდ ინერტულია და საჭიროა დიდი სამუშაოს ჩატარება, რათა ამომრჩეველი იყოს კარგად ინფორმირებული და სათანადოდ მოემზადოს არჩევნებისთვის. ალბათ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ საქართველოში ნამდვილად სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება.